დანართი 6

სასერტიფიკატო პროგრამა

1. **პროგრამის დასახელება** – ტურიზმის მენეჯმენტი **(Tourism Management).**

2. **პროგრამის მოცულობა** - 60 ECTS.

3. **პროგრამის ხანგრძლივობა** – 1 აკადემიური წელი (2 სემესტრი).

4. **პროგრამის განხორციელების ადგილი** – თსუ, ტურიზმის საერთაშორისო სკოლა (უნივერსიტეტის ქ. #2).

5. **პროგრამაში მონაწილეთა რაოდენობა** – 15 - 25 კაცი

6. **პროგრამაში ჩართვის წინაპირობები** -

   სრული ზოგადი განათლება და ინგლისური ენის ცოდნა (მინიმუმ B დონაზე).

7. **პროგრამის ღირებულება** – 2.250 ლარი

8. **პროგრამის მიზანი**

   პროგრამა წარმოადგენს ტურიზმის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადების შუალედურ საფეხურს, რომელიც ორიენტირებულია პროფესიული კომპეტენციების მოკლე ვადაში გამომუშავებაზე. მისი მიზანია სტუდენტისათვის საზედამხედველო და დაბალი დონის მენეჯერული უნარ-ჩვევების, რიგი მენეჯერული და მარკეტინგული უნარების სწავლება, რაც შესაბამის გამოცდილებსთან ერთად, მოამზადებს სტუდენტებს მენეჯმენტის, მარკეტინგისა და ტურისტული პროდუქტის შექმნის ფუნქციის განხორციელებისათვის ტურიზმის ინდუსტრიის ნებისმიერ სფეროში.

9. **სწავლის შედეგები**

   პროგრამის მონაწილენი შეიძენენ ცოდნას: ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრიის შესახებ, ტურიზმის ოპერირებასა და პროცედურებზე, ბიზნესის დაგემვასა და ოპერირებაზე, ბიზნესისა და სამენეჯერო აღრიცხვაზე, მომხმარებლის მომსახურების

მენეჯმენტზე და სხვ. ექნებათ უნარ-ჩვევები: იმოქმედონ დამოუკიდებლად ტურიზმის დაგეგმვის, მარკეტინგისა და განვითარების ამოცანების გადაწყვეტაში, იქონიონ სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარი, გამოიჩინონ ორიგინალობა პრობლემების გადაწყვეტაში და სხვ.